საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სოციალური დაცვის მაჩვენებლები

2025

06.02.2026
www.geostat.ge

06.02.2026

სოციალური დაცვის მაჩვენებლები
(2025 წელი)

2025 წელს, საქართველოში პენსიის მიმღებთა რიცხოვნობამ 888.5 ათასი შეადგინა, რომელთაგან 70.4 პროცენტი ქალია, ხოლო 29.6 პროცენტი - კაცი. პენსიის მიმღებთა 30.7 პროცენტი თბილისშია, 15.5 პროცენტი - იმერეთში, 10.3 პროცენტი - ქვემო ქართლში, 10.2 - პროცენტი სამეგრელო-ზემო სვანეთში, 8.5 პროცენტი - კახეთში, დანარჩენ რეგიონებში კი ჯამში 24.8 პროცენტია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია პენსიის მიმღებთა განაწილება რეგიონების მიხედვით, 2025 წელს.

დიაგრამა №1

პენსიის მიმღებთა განაწილება რეგიონების მიხედვით
(%)



სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობამ 187.8 ათასი შეადგინა, რომელთაგან 32.8 პროცენტი ქალია, ხოლო 67.2 პროცენტი - კაცი. სოციალური პაკეტის დანიშვნის საფუძვლების 69.5 პროცენტი შეზღუდული შესაძლებლობაა, 17.5 პროცენტი - ომის მონაწილე, 10.9 პროცენტი - მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი, ხოლო 2.1 პროცენტი - სხვა. ამასთან, სოციალური პაკეტის მიმღები შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირების რიცხოვნობა 134.7 ათასი იყო.

სოციალური პაკეტის მიმღებთა 27.6 პროცენტი თბილისშია, 15.6 პროცენტი იმერეთში, 12.6 პროცენტი აჭარის არ-ში, 9.3 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთში, დანარჩენ რეგიონებში კი ჯამში 34.9 პროცენტია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სოციალური პაკეტის მიმღებთა განაწილება რეგიონების მიხედვით, 2025 წელს.

დიაგრამა №2

სოციალური პაკეტის მიმღებთა განაწილება რეგიონების მიხედვით
(%)



2025 წელს, მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების რაოდენობამ 397.1 ათასი შეადგინა. საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა 129.5 ათასი იყო, ხოლო საზოგადოებრივი დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ოჯახების რაოდენობა, რომლებსაც გარანტირებულად უნარჩუნდებათ სოციალურად დაუცველის სტატუსი - 54.8 ათასი.

რეგიონების მიხედვით ყველაზე მეტი რეგისტრირებული ოჯახი თბილისშია - 79.6 ათასი, საიდანაც დახმარების მიმღებია 33.5 ათასი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, საარსებო შემწეობის მიმღები და საზოგადოებრივი დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ოჯახების

(რომლებსაც 4 წლის განმავლობაში გარანტირებულად უნარჩუნდებათ სოციალურად დაუცველის სტატუსი) რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2025 წელს.

დიაგრამა №3

მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, საარსებო შემწეობის მიმღები და საზოგადოებრივი დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ოჯახების რაოდენობა

(ათასი)



მონაცემთა წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge